აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№46 (25.070) ხუთშაბათი, 4 - 5 მაისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 17-22, შიდამთიან რაიონებში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაემგზავრა, სადაც 4-5 მაისს კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიური კონფერენცია ჩატარდება. დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლა. ირაკლი ღარიბაშვილი გამართავს მაღალი დონის ორმხრივ შეხვედრებს. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გერმანიის ბუნდესტაგის ევროკავშირის საკითხთა კომიტეტის წევრებთან შეხვედრა გამართა. საუბარი შეეხო დიპლომატიურ ურთიერთობებსა და ნაყოფიერ თანამშრომლობას. შალვა პაპუაშვილმა ისაუბრა ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელების კუთხით საქართველოს პროგრესსა და მოლოდინებზე, საკანონმდებლო საკითხებსა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. პარლამენტის თავმჯდომარემ ბუნდესტაგის ევროკავშირის საკითხთა კომიტეტის წევრებს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერა სთხოვა.

* * *

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს ავრცელებს: ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, „ქართული ოცნებას“ გამოკითხულთა 20% დაუჭერდა მხარს, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 5%, სხვა პარტიებს - 6%, 34% არც ერთ პარტიას არ მისცემდა ხმას, 26% კი გადაუწყვეტელი ამომრჩეველია. კითხვაზე, რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს, 57% პასუხობს, რომ არც ერთი, 17% - „ქართული ოცნება“, 5% - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 6% - სხვა პარტიები, 10%-მა კი არ იცის. გამოპასუხების მაჩვენებელი არის 14 %. გამოკითხვა 2023 წლის 17-23 მარტის პერიოდში ჩატარდა.

* * *

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რეპრესიების მსხვერპლია და ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებას სატელეფონოდ თავისუფლად ვერ აფიქსირებს, განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა თინა ბოკუჩავამ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევაზე საუბრისას. მისი თქმით, „ამაზე მეტყველებს ისიც, რომ NDI-ის მონაცემებით, გამოპასუხების მაჩვენებელი 14 პროცენტია, ანუ დარეკილთაგან მხოლოდ 14%-მა განაცხადა თანხმობა პასუხზე“.

მოამზადა
ია ფშველიძემ

თორნიკე რიჟვაძე აჰმედ ალი ალ საიღის შეხვდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრ აჰმედ ალი ალ საიღის შეხვდა. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქვეყნებს შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობას ეკონომიკის, ვაჭრობის, ტურიზმის, ინვესტიციების მიმართულებით. საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის არსებული პოლიტიკური დიალოგი მაღალ ნიშნულზეა, რასაც მოწმობს ორმხრივი მაღალი დონის ვიზიტები.

თორნიკე რიჟვაძემ აჭარის ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს გაუსვა ხაზი. აქვე განიხილეს ერთობლივი პროექტების განხორციელება და ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები.

შეხვედრას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში პაატა კალანდაძე ესწრებოდნენ.

სამინისტროს პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია წარადგინა

ნაილე ხერთვისელი 27 48 94

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, პირველ მოადგილე მარი ზანაქიძესთან და აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელ რუსუდან შავიშვილთან ერთად, მ. იაშვილის სახელობის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შეხვდა

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სამინისტროს პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა და სამომავლო ხედვების გაცნობა.

„მორიგი სამუშაო შეხვედრა გავმართეთ, ამჯერად დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში. გავეცანით სამინისტროს პროგრამების მიმდინარეობას, ასევე, მოვისმინეთ მათი შეფასებები პროგრამების დადებითი და გასაუმჯობესებელი ფაქტორების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ცენტრი ჩართულია სამინისტროს ორ პროგრამაში: „მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ და „ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება“, - აღნიშნა ნინო ნიჟარაძემ.

შეხვედრის დასასრულ, მინისტრი აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროგრამის - „,ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში“ მიმდინარეობას გაეცნო, რომელსაც ამავე კლინიკაში იმუნოლოგ-ალერგოლოგი ვახტანგ ბერიძე ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში, ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკისთვის გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურება: ალერგოლოგის კონსულტაცია, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა, კანის პრიკ ტესტის ჩატარება არაინფექციური ალერგენებით, სისხლის შრატში საერთო IgE განსაზღვრა.

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 6-12 წლის ასაკის ბავშვებს, რომლებიც სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე, ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის რეფერირებული არიან ოჯახის ექიმისა და/ან პედიატრის მიერ. 2022 წელს აღნიშნული პროგრამით ისარგებლა პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან რეფერირებულმა 450-მა ბენეფიციარმა.

აღსანიშნავია, რომ მაისი ასთმის თვედ არის გამოცხადებული. 2023 წლის მსოფლიო დღის მიზანია ხელი შეეწყოს ასთმის მართვის ეფექტური პროგრამების განვითარებასა და განხორციელებას ყველა ქვეყანაში.

გაერთიანება და კონსოლიდაცია - წარმატების ფორმულა

3

რა უნდა ახსნას და დაამტკიცოს დღეს ოპოზიციამ?

«ნაციონალური მოძრაობის» წევრებს შორის დაპირისპირება გრძელდება

4

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ახალი საავტომობილო გზა შენდება

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ქედაში აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით ქვედა აქუცისა და ვაიოს დამაკავშირებელი გზის სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გენადი ანანიძე და მერის წარმომადგენელი ვაიოს ადმინისტრაციულ ერთეულში ნაზიმ ჩხეიძე გაეცნენ.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა რკინა-ბეტონის კიუვეტი ცხაურით, გაბიონი, ბეტონის საყრდენი კედლები, ლითონის ხიდი, დაიგება ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი დამცავი ზღუდარებით.

კეთილმოწყობილი, ერთ კილომეტრზე მეტი სიგრძის საავტომობილო გზით სამი სოფლის 200-მდე ოჯახი ისარგებლებს. რაც შეეხება აქუცის მოსახლეობის ერთ ნაწილს, წლების განმავლობაში არ ჰქონიათ საავტომობილო გზა.

სამშენებლო სამუშაოებს შპს „ბონდი 2009“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 1 341 333 ლარია.

საამაყო სპორტსმენებს მოეფერნენ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ხულოსა და სრულიად საქართველოს საამაყო შვილები ლერი აბულაძე და ლაშა გობაძე ქართული სპორტის ისტორიაში სასახელო ფურცლებს წერენ

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონ ლერი აბულაძეს და პრიზიორ ლაშა გობაძეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში შეხვედრა გაუმართეს და წარმატებები მიულოცეს.

ითქვა, რომ ძალიან სასიხარულო და საამაყოა ის ფაქტი, რომ ხულოს სასპორტო სკოლაში დაკვალიანებულმა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზზე ასეთი მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანეს ქვეყანას. მუნიციპალიტეტის მერია აჭარის მთავრობასთან ერთად ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სპორტის პოპულარიზაციას და მის განვითარებას უფრო მეტად შეუწყოს ხელი.

დაბა ხულოში უკვე დაწყებულია თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სპორტული დარბაზის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და ძალიან მოკლე დროში ხულოელ ჭაბუკებსა და გოგონებს შესაძლებლობა ექნებათ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სპორტულ დარბაზში ივარჯიშონ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძის გადაწყვეტილებით, სპორტსმენების მხარდაჭერის, მოტივაციის გაზრდისა და წახალისების მიზნით მნიშვნელოვნად იზრდება ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონატებში საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების ჯილდოები. საპრიზო ფონდი 400 ათასი ლარის ნაცვლად 1 მილიონ ლარს გადაუჭარბებს.

ლერი აბულაძეს, ლაშა გობაძეს და მათ მწვრთნელებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. სპორტსმენებმა და მათმა მწვრთნელებმა შეხვედრის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს და შეჰპირდნენ, რომ სპორტულ მონაგარს კიდევ უფრო გაამდიდრებენ.

გასვლითი სპექტაკლი - ღორჯომში

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად თამაზ ბოლქვაძე დაინიშნა და მისი ხელი ყველაფერს დაეტყო

მაყურებელმა თეატრის საერთაშორისო დღეს მისი რეჟისორობით დადგმული სპექტაკლი ნახა.

სამხატვრო ხელმძღვანელად წარდგენის დღეს ბატონი თამაზი საზოგადოებას შეჰპირდა, რომ დასი გასვლით სპექტაკლებს გამართავდა

ხულოს ცალკეულ ხეობებსა და მის ფარგლებს გარეთ და სიტყვაც შეასრულა.

ამ დღეებში დასმა სპექტაკლი ღორჯომში წარადგინა - ფრანსის ვებერის „ბრიყვთა ვახშამი“ (რეჟისორი - თამაზ ბოლქვაძე).

სპექტაკლს ადგილობრივი მოსახლეობა, ღორჯომის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე და სხვა ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

- გვახსოვს ის წლები, როცა თეატრს სულიკო თავართქილაძე ხელმძღვანელობდა და სპექტაკლები ჩვენთანაც იმართებოდა. მისი წასვლის შემდეგ, ღორჯომი აღარ გახსენებიათ, - გვითხრა მაყვალა ირემაძემ, - ამჯერად კარგი დადგმა ვნახეთ. მადლობა დასის წევრებსა და თეატრის ხელმძღვანელობას.

წიგნები - სკოლებს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

პროფესორი ედიშერ ფუტკარაძე შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანში დაიბადა. ამავე სოფლის სკოლის დასრულების შემდეგ სწავლის, მეცნიერული კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი გზა გამოიარა. წლების განმავლობაში გერმანიაში იყო. უკვე საქართველოში დაბრუნდა და იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ხარისხითა და პროფესორის წოდებით მუშაობს. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ინგლისურ, გერმანულ, იაპონურ, ჩინურ, რუსულ და თურქულ ენებზე. 35-ზე მეტ საერთაშორისო კონგრესში, სიმპოზიუმსა და კონფერენციაში მონაწილეობდა.

სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად, ედიშერ ფუტკარაძის ახალი მონაგარია წიგნი „ჩემი მოსაზრებები, პუბლიცისტიკა და პოეზია“, რომელიც მან პირველად მშობლიური დღვანის მეზობელი ქიძინიძეების, ლომანაურის, გოგინაურისა და კვიახიძეების სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკებს საჩუქრად გაუგზავნა.

წიგნი ბიბლიოთეკებს შუახევის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მისმა მოადგილე გიორგი კეკელიძემ და საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ემზარ აბაშიძემ გადასცეს.

როსტომ ლორთქიფანიძემ წიგნი შუახევის რაიონულ ბიბლიოთეკასაც დაუტოვა.

„მწვანე სტიპენდიები“

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა საინფორმაციო შეხვედრებზე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებსა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებს „მწვანე სტიპენდიების“ მოპოვების კრიტერიუმები გააცნო.

„მწვანე სტიპენდიების“ პროგრამა, რომელსაც გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს, ხელს უწყობს გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაციასა და წარჩინებული სტუდენტების წახალისებას. პროგრამის

ფარგლებში, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, შესაბამის უწყებებში პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ.

„საინფორმაციო შეხვედრები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. სტიპენდიები ვრცელდება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე: გეოლოგია, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა (ჰიდროლოგია), ეკოლოგია, გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია, ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება, ენერგეტიკისა და მინერალური რესურსების მართვა და მდგრადი განვითარება, კონსტრუქციული (გამოყენებითი) გეოგრაფია და გარემოს დაცვა, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა. 2022 წელს 1500-ლარიანი „მწვანე სტიპენდია“ მაგისტრატურის 32 წარჩინებულ სტუდენტს გადაეცა. „მწვანე სტიპენდიების“ პროგრამა ხორციელდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფართომასშტაბიანი ინიციატივის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), საქართველოს, შვედეთისა და შვეიცარიის მთავრობების მხარდაჭერით“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ავიაკომპანიები FLYNAS-ი და FLY DUBAI ბათუმი-დუბაის მიმართულებით პირდაპირი რეისების სიხშირის გაზრდას გეგმავენ

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ FLY DUBAI-ს და Flynas-ის ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრა გამართა, რომელზეც ბათუმი-დუბაის მიმართულებით რეისების დამატებისა და პირდაპირი რეისების დანიშვნის შესაძლებლობები განიხილეს. ავიაკომპანიებმა გამოთქვეს მზადყოფნა ფრენების სიხშირის გაზრდასთან და ეტაპობრივად, არასაზღვაო ტურისტულ სეზონზე, დამატებითი რეისების დანიშვნასთან დაკავშირებით. 2023 წლის ზაფხულში ბათუმი-დუბაის მიმართულებით რეისებს განაახორციელებს Flynas-ი, 25 ივნისიდან დაემატება FLY DUBAI-ს რეისები.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ტურიზმის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის სფეროში არსებული დიდი პოტენციალის სრულად ათვისების მნიშვნელობას, რაშიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეისების დამატება.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელები.

1-4 მაისს დუბაიში მიმდინარეობს ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი უმსხვილესი ტურისტული გამოფენა, სადაც 150 ქვეყანასთან ერთად აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და სახვადასხვა ქართული ტურისტული კომპანიის გვერდითაა წარმოდგენილი.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური

გაერთიანება და კონსოლიდაცია – წარმატების ფორმულა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დასავლეთში სოციოლოგიურ კვლევებს ენდობიან და მის შედეგებს ითვალისწინებენ, პოსტსაბჭოთა სივრცეში და მათ შორის საქართველოში კი სოციოლოგიურ კვლევებს ან ეჭვის თვალით უყურებენ ანდა დაინტერესებული პარტიის დაკვეთად მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, სოციოლოგიური კვლევები, გარკვეულწილად მოსახლეობის განწყობას ასახავს. IRI-ის მიერ გამოქვეყნებულმა კვლევის შედეგებმა არა მხოლოდ მმართველი პარტიის, არამედ ოპოზიციის ნაწილის უკმაყოფილებაც გამოიწვია, რადგან, როგორც „ქართული ოცნების“, ისე ოპოზიციის რეიტინგი მნიშვნელოვნად შემცირებულია, სასიხარულო კი ისაა, რომ გაიზარდა ევროინტეგრაციის მომხრეთა რაოდენობა

როგორია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია? ხელისუფლებამ და ოპოზიციამ რა დასკვნები უნდა გამოიტანონ ამ მიმართებით? - ამაზე „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელ **ბეჭა დიასამიძეს** *ვესაუბრეთ.*

- ამას წინათ IRI-მ მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა: არჩევნები რომ ტარდებოდეს დღეს, მმართველ პარტიას 20 პროცენტი დაუჭერდა მხარს, „ნაცმოძრაობას“ - 14, სხვა პარტიების მაჩვენებელი უმნიშვნელოა. ყველაზე დამაფიქრებელი ისაა, რომ მოსახლეობის 20-მა პროცენტმა არ იცის, ხმა ვის მისცეს. ეს რისი მანიშნებელია?

- ხელისუფლების მხრიდან მუდმივად, მიზანმიმართულად მიდის მოსახლეობის დეზინფორმაცია, რათა რეალური (სოციალური) პრობლემატიკიდან ყურადღების გადატანა ეგზისტენციალურ, არარსებულ საფრთხეებზე მოხდეს. სანამ მოქალაქე გაიაზრებს მმართველი ძალის ერთ მესიჯბოქსს, მეორე არ აყოვნებს, მერე - მესამე და ასე შემდეგ. საჯარო სივრცეში ხელისუფლება უწყვეტ ნაკადად ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას უშვებს, რათა საზოგადოების დეზორიენტაცია და რაკურსის მთავარ თემებზე გასწორება არ მოხდეს. მტრის ხატის შექმნა „კგბ“-ს საუკეთესო ტრადიციებიდან იღებს სათავეს და ნარატივი: „აბა, ომი გინდათ?!“ არ არის „ქართული ოცნების“ „ნოუ ჰაუ“. მსგავსი პოლიტიკა ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს - ომის დაწყების შიშით ჩვენს მოსახლეობას ევროპული არჩევანი შეაცვლევინონ. IRI-ს კვლევებმაც აჩვენა, რომ აღნიშნულ მიზანს მმართველმა ძალამ ვერ მიაღწია (89% ემხრობა ევროკავშირში გაწევრიანებას), სამაგიეროდ, ნიჰილიზმის დათესვა კარგად გამოსდის, რაც მერე ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილის შიდა პოლიტიკურ პრეფერენციებშიც აისახება. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ნაკლებად ჩართულია პოლიტიკური პროცესების ამ ნიუანსებში, ამისთვის დრო არ ჰყოფნის ან ინტერესი არ აქვს, ფიქრობს, რომ არცერთი პოლიტიკური ძალა არ იცავს მის უფლებებს და, როგორც ვნახეთ, მოსახლეობის 20% ასეთია.**

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ზემოაღნიშნული კვლევა რეალობას არ ასახავს და მათი რეიტინგი საკმაოდ მაღალია არჩევნები რომ დამაჯერებლად მოიგონ...

- „რუსული კანონის“ მიღებისა და მერე საკუთარი მოქალაქეების დარბევის შემდეგ „ქართულ ოცნებას“ სახელმწიფოს მართვის მორალური უფლება აღარ აქვს. ხალხის ნდობა ხომ უფრო ადრე აქვთ დაკარგული. სამართლიანობის აღდგენის მოტივით მოსული პოლიტიკური ძალა დღეს მოსამართლეებს, რომელთა გადაწყვეტილებების გამო წინა მთავრობას აკრიტიკებდა და ებრძოდა, საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით გადაეფარა და იცავს. ამისთვის არ ერიდებიან საკანონმდებლო ორგანოს პარალიზებასაც კი. ამ პირობებში თუ რამის იმედი აქვთ, ეს ხალხის მხარდაჭერა კი არა, არამედ მხოლოდ არჩევნების გაყალბება და ოქმების გადაწერის შანსია, რომელიც „ქოცური“ არითმეტიკით მუშაობს და სადაც ორჯერ ორი ორმოცდაერთის ტოლია.

- თქვენ სკეპტიკურად აფასებთ მმართველი პარტიის შანსებს, ისინი კი ოპოზიციის წარმომადგენლებს ქვეყნის დესტაბილიზაციის მცდელობაში ადანაშაულებენ...

- საზოგადოების დეზინფორმაცია და დეზორიენტირება, არჩევნების გაყალბებასთან ერთად, „ქართული ოცნების“ ერთადერთი სტრატეგიაა ხელისუფლებაში დასარჩენად. შესაბამისად, გასაკვირი არ არის მათგან მსგავსი ბრალდებები. ადვილია საკუთარი უნიათობა და რუსული პოლიტიკის გატარება სხვას გადააბრალო და პასუხისმგებლობა თავიდან აირიდო, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ საზოგადოება მნიშვნელოვნად გაიზარდა და მსგავსი მანიპულაციებით მმართველ ძალას თავს არ მოატყუებინებს.

- კვლავ ზემოაღნიშნულ კვლევებს დავუბრუნდეთ: ხელისუფლებამ და ოპოზიციამ რა დასკვნები უნდა გამოიტანონ?

- მმართველი ძალა უნდა მიხვდეს, რომ ნებისმიერი მცდელობა, ხალხის მხარდაჭერა კი არა, არამედ მხოლოდ არჩევნების გაყალბება და ოქმების გადაწერის შანსია, რომელიც „ქოცური“ არითმეტიკით მუშაობს და სადაც ორჯერ ორი ორმოცდაერთის ტოლია.

- თქვენ ტრიოს („სტრატეგია აღმაშენებელი“, „დროა“ და „გირჩი მეტი თავისუფლება“) არჩევნებში მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევის რა შანსი აქვს?

- როგორც გითხარით, მხოლოდ გაერთიანება, მხოლოდ კონსოლიდაცია არის წარმატების ფორმულა, ამიტომ ნებისმიერი ფორმით ოპოზიციური პარტიების ერთობა მოიტანს შედეგს. ეს არის ხალხის დაკვეთა.

- ზემოაღნიშნული გამოკითხვა იმითაც იყო საყურადღებო, რომ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

- მივესალმებით, რომ ჩვენი მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი ნაწილი ლოგიკურად აფასებს საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციას და, აქედან გამომდინარე, საქართველოს ევროატლანტიკურ პერსპექტივას უალტერნატივოდ მიიჩნევს. მომავალში, უკრაინასთან ომში რუსეთის გამარჯვების შანსების შემცირების პარალელურად, ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენი ხალხი ბრძენია და კარგად ხვდება, რომ რუსეთთან ურთიერთობის შემთხვევაში საქართველოს ევროპელ ხალხს ევროპულ მომავალზე აზრი შეაცვლევინოს, უშედეგო იქნება და ამიტომ მათთვის უკეთესია, უმრავლესობის ნებას დაჰყვნენ, ოპოზიციამ კი ყურადღება უნდა გავამახვილოთ ჩვენი მოქალაქეების საჭიროებებზე, პრობლემებზე და ნაკლები დრო დავუთმოთ „ქართული ოცნების“ დღის წესრიგს, რომლის ამოცანაც პოლიტიკურ ცხოვრებაში ოპოზიციური პარტიებისთვის მაგიდის აყირავება და არეულობის შემოტანაა.

- ხშირად საუბრობენ მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე. მოსალოდნელია თუ არა, შეიქმნას მმართველი პარტიის და „ნაცმოძრაობის“ საპირწონე გაერთიანება?

- IRI-ს კვლევამ აჩვენა, რომ სახელისუფლებო პარტიის დამარცხება მხოლოდ დასავლური ღირებულებების მატარებელი ოპოზიციური პარტიების გაერთიანებით შეიძლება. დასაკარგი ხმების ფუფუნება არ გვაქვს. მხოლოდ კონსოლიდაცია არის გზა „ქართული ოცნების“ დამარცხებისკენ.

- თქვენს ტრიოს („სტრატეგია აღმაშენებელი“, „დროა“ და „გირჩი მეტი თავისუფლება“) არჩევნებში მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევის რა შანსი აქვს?

- როგორც გითხარით, მხოლოდ გაერთიანება, მხოლოდ კონსოლიდაცია არის წარმატების ფორმულა, ამიტომ ნებისმიერი ფორმით ოპოზიციური პარტიების ერთობა მოიტანს შედეგს. ეს არის ხალხის დაკვეთა.

- ზემოაღნიშნული გამოკითხვა იმითაც იყო საყურადღებო, რომ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

- მივესალმებით, რომ ჩვენი მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი ნაწილი ლოგიკურად აფასებს საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციას და, აქედან გამომდინარე, საქართველოს ევროატლანტიკურ პერსპექტივას უალტერნატივოდ მიიჩნევს. მომავალში, უკრაინასთან ომში რუსეთის გამარჯვების შანსების შემცირების პარალელურად, ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენი ხალხი ბრძენია და კარგად ხვდება, რომ რუსეთთან ურთიერთობის შემთხვევაში საქართველოს მომავალი არ გააჩნია.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: ევროსაბჭომ წლის მიწურულს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ამ სტატუსის მიღება ქვეყანას რა პერსპექტივებს ჰპირდება?

- ევროკავშირის წევრობა ჩვენს ქვეყანას მოუტანს მეტ უსაფრთხოებას, მეტ ჯანდაცვას, მეტ ცოდნას, მეტ გამოცდილებას, მეტ ტექნოლოგიებს, მეტ ინვესტიციებს, მეტ ეკონომიკურ განვითარებას, საერთაშორისო იმიჯისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას, ხოლო კანდიდატის სტატუსი წევრობისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული დიდი ნაბიჯია.

- ფინეთი ნატოს წევრი გახდა, ამ მხრივ ალიანსის გენერალურმა მდივანმა უკრაინაც დააიმედა. ამ ქვეყანას რა შანსი აქვს ალიანსში გაწევრიანების თვალსაზრისით და ეს რა ტექტონიკურ ძვრებს გამოიწვევს საერთაშორისო პოლიტიკაში?

- უნდა გვესმოდეს, რომ ომში ჩართულ ქვეყანას ნატოში არავინ მიიღებს, მაგრამ პროცესები ისეთ ფორსირებულ რეჟიმში მიმდინარეობს, რომ უკრაინის გაწევრიანება არცთუ ისე შორეულ პერსპექტივაში, ვფიქრობ, შესაძლებელი იქნება. უკრაინის გაწევრიანებით რუსეთი დაკარგავს შავ ზღვაში დომინანტის როლს, რაც აისახება რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლილებაზე ჩვენი და უკრაინის სასარგებლოდ როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად.

- დაბოლოს, პრობლემური საკითხების ნუსხაში უმუშევრობა, ყველა კვლევის მიხედვით, პირველ ადგილზეა. ექსპერტთა თქმით, ვერცერთმა მთავრობამ ვერ შეძლო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

- მთავრობას არ აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხედვა, არ აქვს მწყობრი და თანმიმდევრული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, შესაბამისად, მათგან სიკეთეს არ უნდა ველოდეთ. ამის გამო „ქართული ოცნების“ პირობებში მოსახლეობის მძიმე სოციალური ყოფა თუ არ გაუარესდა, ნამდვილად არ გაუმჯობესდება. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ „სტრატეგია აღმაშენებლის“ გუნდს გვაქვს შესაბამისად მომზადებული პროექტებიც და განვითარების პროგრამებიც, რომლებიც მოცემულ სურათს უკეთესობისკენ რადიკალურად შეცვლის.

> ***მივესალმებით, რომ ჩვენი მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი ნაწილი ლოგიკურად აფასებს საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციას და, აქედან გამომდინარე, საქართველოს ევროატლანტიკურ პერსპექტივას უალტერნატივოდ მიიჩნევს. მომავალში, უკრაინასთან ომში რუსეთის გამარჯვების შანსების შემცირების პარალელურად, ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენი ხალხი ბრძენია და კარგად ხვდება, რომ რუსეთთან ურთიერთობის შემთხვევაში საქართველოს მომავალი არ გააჩნია***

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესზე იმსჯელეს

პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაია საქართველოში ვიზიტად მყოფ ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე ჯეიმს აპატურაის შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესზე იმსჯელეს და საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების დაჩქარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

შეხვედრის მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს ჰიბრიდული საფრთხეების სრული სპექტრის საპასუხოდ ალიანსის მხრიდან საქართველოს მიმართ პრაქტიკული მხარდაჭერის შემდგომ გაძლიერებაზე.

ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწესთან შეხვედრას კომიტეტის წევრები ალექსანდრე ტაბატაძე, ხატია წილოსანი, ჰერმან საბო, ალექსანდრე ელისაშვილი, ალექსანდრე მოწერელია და ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი ალექსანდრე ვინნიკოვი ესწრებოდნენ.

ამირან ბურიელიძე

უცხოეთი

ევროკომისიამ პოლონეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, რუმინეთსა და სლოვაკეთში უკრაინაში წარმოებული ოთხი სახეობის აგროპროდუქტის - ხორბლის, სიმინდის, რაფსისა და მზესუმზირის თესლის იმპორტი 5 ივნისამდე აკრძალა. ამის შესახებ ევროკომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია. პარალელურად, ზემოაღნიშნულმა ქვეყნებმა ვალდებულება აიღეს, რომ ამ და უკრაინიდან მომავალ ნებისმიერ სხვა პროდუქციაზე ცალმხრივ შეზღუდვებს გააუქმებენ. ევროკომისია აღნიშნავს, რომ მზად არის, პრევენციული ზომები გაახანგრძლივოს, „სანამ განსაკუთრებული ვითარება გაგრძელდება“.

* * *

ვაშინგტონი სომხეთ-აზერბაიჯანის სამშვიდობო მოლაპარაკებებს მასპინძლობს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თქმით, ეს დიალოგი სამხრეთ კავკასიის რეგიონში საბოლოო მშვიდობის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ენტონი ბლინკენმა უკვე გამართა ინდივიდუალური შეხვედრები აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან. გაიმართა სამშვიდობო დიალოგის პირველი ერთობლივი შეხვედრა სამივე ქვეყნის დელეგაციების მონაწილეობითაც. განიხილეს რეგიონის უსაფრთხოება, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის მოგვარების პროცესი და ლაჩინის დერეფნის საკითხი. სამშვიდობო დიალოგის ფარგლებში შეხვედრები ვაშინგტონში მიმდინარე კვირის ბოლომდე გაგრძელდება.

* * *

თურქეთის თავდაცვის მინისტრ ჰულუსი აქარის განცხადებით, უკრაინის, რუსეთისა და თურქეთის თავდაცვის მინისტრების მოადგილეები პარასკევს სტამბოლში შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივის განსახილველად შეიკრიბებიან. ოფიციალური მოსკოვი აცხადებს, რომ 18 მაისიდან დატოვებს შეთანხმებას, თუ კვლავინდებურად არ შეეძლება საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი, რაც, რუსეთის მტკიცებით, დასავლური სანქციების გამო ბრკოლდება.

* * *

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი, ისევე როგორც სხვა დასავლელი პარტნიორები, რომლებიც ქვეყანას რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის სამხედრო დახმარებას უწევენ, აცხადებს, რომ უკრაინას არ აქვს უფლება, გერმანიისგან მიღებული იარაღით რუსეთის ტერიტორიას დაარტყას. შოლცის განმარტებით, მსგავსი წესები აქვთ განსაზღვრული იარაღის სხვა დასავლელ მიმწოდებლებსაც. გერმანიის კანცლერი ხაზს უსვამს, რომ უკრაინის დახმარება აუცილებელია, მაგრამ ასევე ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ არ მოხდეს ომი რუსეთსა და ნატოს შორის.

* * *

საფრანგეთში საპროტესტო აქციებზე შეტაკებების შედეგად 108 პოლიციელი დაშავდა. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრ ჟერალდ დარმანენის განცხადებით, სამართალდამცველებმა საპროტესტო აქციებზე 300 პირი დააკავეს. „ყველამ უნდა დაგმოს სამართალდამცველების მიმართ მიუღებელი ძალადობა. ძალიან დიდი სიჩუმეა ასეთი საშინელი სურათის ფონზე“, - აღნიშნა მან. საფრანგეთში მასობრივი საპროტესტო აქციები საპენსიო ასაკის ზრდას მოჰყვა. უკმაყოფილების მიუხედავად, მთავრობამ ცვლილება მაინც დაამტკიცა.

მოამზადა
ია შველიძემ

რა უნდა ახსნას და დაამტკიცოს დღეს ოპოზიციამ?

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის დაპირისპირება გრძელდება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევნებში ლევან ხაბეიშვილის გამარჯვების შემდეგ, პარტიაში გაჩნდა ორი მხარე, რომლებიც ღიად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ნიკა მელიას მომხრეებმა ახალი ხელმძღვანელის განცხადებებს პროვოკაციული უწოდეს და დასძინეს, რომ ხაბეიშვილის დაპირებები, დაპირებებად რჩება და მას მხოლოდ ფასადური ეფექტების მოხდენა სურს. როგორ აფასებს ლევან ხაბეიშვილის ხელმძღვანელობას და რატომ უწოდებს მის დაპირებებს ტყუილს, ამ და სხვა შეკითხვებზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ***მირზატ ქამადაძემ*** *გვიპასუხა.*

- ელექტრონული არჩევნების წესით „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი გახდა, რის შემდეგაც პარტიაში პოზიციები ორად გაიყო. ცალკე დგანან ადამიანები, რომლებიც ახლად არჩეულ ხელმძღვანელს უჭერენ მხარს და თქვენ, რომლებიც ნიკა მელიას მხარდამჭერებად დარჩით. მოვისმინეთ სატელევიზიო კომენტარები, რომლებიც ერთმანეთის წინააღმდეგ გააკეთეთ, წავიკითხეთ „ფეისბუქ“ პოსტები, სადაც არ ცხრებოდა დაპირისპირება. თქვენ როგორ აფასებთ „ნაციონალურ მოძრაობაში“ განვითარებულ მოვლენებს?

- „ნაციონალურ მოძრაობაში“ ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, სადაც გაიმარჯვა ხაბეიშვილმა. ჩვენ ვაღიარეთ და მივულოცეთ შედეგები. ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში, რაც, ზოგადად, კარგია და პოლიტიკოსებს რომ დანაპირების შესრულებას მოსთხოვენ, ესეც ორჯერ ორი ოთხია.

- აუცილებლად უნდა გკითხოთ იმაზე, რაზეც საზოგადოებაში ხმამაღლა საუბრობენ. ამბობენ, რომ „ნიკა მელია გაიყიდა“ და სწორედ ეს არ აპატია მას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველმა. რატომ გახდა საზოგადოების რჩეული ხაბეიშვილი, მელიამ რა შეცდომა დაუშვა?

- საზოგადოებაში ამ საკითხზე ხმამაღლა საუბარი არ მსმენია, თუმცა სუს-ი კი ავრცელებდა მსგავს პროპაგანდას. მიხეილ სააკაშვილი არის პუტინის პატიმარი და მისი ტყვეობიდან თავის დაღწევა არაა მარტივი. ეს გვესმოდა ძალიან კარგად და ამიტომაც იყო, რომ არავის ვპირდებოდით სადმე შევარდნა-გამოვარდნას, რადგან სწორედ ამგვარი უპასუხისმგებლო განცხადებები აზიანებს პროცესებს. ჩვენ გვესმოდა, რომ სხვა ტაქტიკით უნდა გვემოქმედა ამ დროს, თუმცა, პარტიაში აღმოჩნდნენ ადამიანები, ვინც ამ თემით ისპეკულირა, რათა პარტიაში ძალაუფლება და გავლენა მოეპოვებინათ. ხაბეიშვილი ამ ნაწილში მეორეხარისხოვანი ფიგურაა, მას კარნახობენ, როგორ მოიქცეს. შესაბამისად, როგორც კი არჩევნები დასრულდა, ვნახეთ, რომ დაპირება დარჩა დაპირებად, ისევე როგორც „ქოცების“ შემთხვევაში უამრავი დაპირება მოგვისმენია - ასი ქარხნით დაწყებული, „უფასო ფულით“ გაგრძელებული და დამთავრებული ამ დაპირებით „ხუთი მილიონი - თითო სოფელს“.

- ხაბეიშვილმა საზოგადოებას „ნაციონალური მოძრაობის“ გაძლიერების 12-პუნქტიანი გეგმა წარუდგინა, მათ შორის რეგიონალური ორგანიზაციების გაძლიერება, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების შტაბისა და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების კომიტეტის შექმნა, ახალგაზრდული ორგანიზაციის გაძლიერება... როგორ შეაფასებთ ხაბეიშვილის გეგმას?

- წმინდა წყლის პოპულიზმი, ცრუ დაპირება და სპეკულაციაა. ხაბეიშვილი სამი მთავარი დაპირებით წარსდგა: უწყვეტი საპროტესტო აქციები; მიშას გათავისუფლება, მათ შორის ფიზიკურად შევარდნითაც; 50 ახალი ოფისი. სამივე ტყუილი დაპირება და სპეკულაცია იყო. სააკაშვილის გათავისუფლების შტაბი - ეს სიტყვათა წყობა წინასაარჩევნოდ მუშაობდა კარგად, აეროპორტებში იხსნიდნენ კანდიდატურებს ზოგიერთები, გვახსოვს, მაგრამ არჩევნების შემდეგ აღარც შტაბია და აღარც მიშას თავისუფლებას ითხოვს ეს ხალხი. დასკვნები მკითხველმა გააკეთოს.

- ნიკა მელიას მომხრეებმა, მათ შორის თქვენც, დატოვეთ პარტიული თანამდებობა, თუმცა დარჩით პარტიაში და განაცხადეთ, რომ გააგრძელებთ ბრძოლას საერთო მიზნებისათვის. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს განცხადება ამომრჩევლების დასამშვიდებლად უფრო გაკეთდა და „საერთო მიზნებისთვის ბრძოლაში“ საერთო მიზნები ნაკლებად შემოგრჩათ?...

- ჩვენ ყოველთვის იმ ნაბიჯებს ვდგამთ, რომლებიც სწორად მიგვაჩნია და რასაც საჯაროდ ვეუბნებით ამომრჩეველს. მარცხის შემთხვევაში თანამდებობების დატოვება წინასწარ იყო გაცხადებული, რადგან ახალ თავმჯდომარეს დანაპირების შესასრულებლად ახალი გუნდი სჭირდება. თუ ვინმეს დააბრუნებდა ძველებიდან, ეს მისი ნება იყო, მაგრამ ვნახეთ, რომ, ფაქტობრივად - არავინ. ჩვენი საერთო მიზანია ევროინტეგრაცია, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის და სიცოცხლის გადარჩენა, პოლიტპატიმრების გათავისუფლება, რუსული ოცნების შეცვლა კოალიციური მმართველობით. ვისაც ეს მიზნები ამოძრავებს გულწრფელად, ჩვენ ყველასთან ვთანამშრომლობთ.

- ლევან ხაბეიშვილის არჩევის შემდეგ „ქართულ ოცნებაში“ განაცხადეს, რომ ისინი ახალი თავმჯდომარის პირობებში მეტ დესტრუქციას ელოდებიან. როგორ ფიქრობთ, მმართველი პარტიის ეს პროგნოზი რამდენად გამართლდება?

- საერთოდ არ მაინტერესებს, რას ფიქრობს მმართველი პარტია. ისინი არ გამოხატავენ დღეს ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის ნებას, ლევან ხაბეიშვილმა კი პირველივე გადაწყვეტილების მიღებისას მიქარა, როცა სიიდან ამოიღო ლევან გორგილაძე, როინ დვალი, ელიზა ეფაძე და შორენა აბაშიძე (ლევან გორგილაძე მომდევნო სხდომაზე უნდა გამხდარიყო საკრებულოს წევრი) და მან ეს საქციელი ვერ ახსნა. ცრუ ბრალდებები დაგვდო, მაგრამ მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. ძალიან უხერხულია დღეს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედ პარტიას ტყუილებსა და არასერიოზულობაში შემჩნეული კაცი თავმჯდომარეობს.

- საზოგადოებას ახსოვს, რომ ნიკა მელიამ ხაბეიშვილს გამარჯვება მიულოცა და დასძინა, რომ პარტიაში დარჩება მანამ, „სანამ მიხეილ სააკაშვილი რუსული რეჟიმის ტყვეა“. საზოგადოების ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ ნიკა მელიას ბოლოდროინდელი დუმილიდან და ნაკლები ბრძოლისუნარიანობიდან გამომდინარე, ხელს აძლევდა, რაც მოხდა, ანუ „წყლიდან მშრალი გამოვიდა“, აირიდა პასუხისმგებლობები რაღაც სარგებლის სანაცვლოდ...

- საზოგადოების ნაწილი საუბრობს - რას ნიშნავს? კონკრეტულად, ვინ? ნიკა მელიამ აჩვენა, რომ მიუხედავად შეცდომებისა, ის არის პოლიტიკური ლიდერი, რომელსაც მიაჩნია, რომ პოლიტიკა უნდა კეთდებოდეს სიმართლით და ღირსებით, რომ ამ ქვეყანაში საჯარო პოლიტიკის დროა და კულისებში პოლიტიკის კეთება უნდა დასრულდეს. დანარჩენი - ვინ რა ჭორებს თხზავს, არ არის საინტერესო.

- ზოგადად, როგორ შეაფასებთ დღეს პოლიტიკურ ვითარებას საქართველოში?

- ყველამ იცის, რომ „ქართული ოცნების“ არცერთი სიტყვა/დაპირება არ დაიჯერება და ქვეყნის პროდასავლურობისთვის ხიფათს წარმოადგენს, მაგრამ ქართველ ხალხს კითხვა აქვს ოპოზიციასთან: რა შეუძლია ოპოზიციას? რითია „ქოცებზე“ უკეთესი? ეს უნდა ახსნას ოპოზიციამ გასაგებად. რას აკეთებს, „ქოცებს“ რომ გაუშვებს? ამაზე პასუხი არ არის, უფრო მეტიც, მთავარი ოპოზიციური პარტია დიდწილად „ქოცებს“ ემსგავსება და ესაა დიდი პრობლემა.

- ლევან ხაბეიშვილის ბრძანებით „ნაციონალური მოძრაობის“ სიიდან ამოიღეს 4 ადამიანი, „თუ ხელის მოწერა ჩრდილიდან გიკარნახეს და მოგაწერინეს, ეგ ქოცობაა“, მიმართავთ ლევან ხაბეიშვილს თქვენი პირადი ფეისბუქგვერდიდან და სთხოვთ, ახსნას, რატომ მოიქცა ასე. ამბობთ ამასაც: „თუ არ დადებ მტკიცებულებას, ჩვეულებრივი უკანასკნელი მატყუარა ხარ“. თქვენ რა დასკვნა გამოგაქვთ აღნიშნულიდან გამომდინარე? ხომ არ ფიქრობთ, რომ ორად გაყოფილი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ინტერესებს შეეწირნენ აღნიშნული ადამიანები?

- ეს ადამიანები შეეწირნენ რევანშს. განსხვავებული აზრისთვის რევანში აიღეს პირველი შესაძლებლობისთანავე და ძალიან უხერხულია, რომ დღეს ჩვენ გვეძახიან რევანშისტებს.

- რა ინფორმაცია გაქვთ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ზოგადად, მასზე რა სიახლეებს უნდა ელოდოს საზოგადოება ახლო მომავალში?

- რამდენადაც ვიცი, სტრასბურგშია საქმე და ვნახოთ, რას იტყვის სტრასბურგის სასამართლო.

- დაბოლოს, როგორ წარმოგიდგენიათ „ნაციონალური მოძრაობის“ მომავალი, როგორ ფიქრობთ, ამ მოცემულობაში, ხალხი ისევ გამოგიცხადებთ ნდობას?

- ხალხმა ნდობა უნდა გამოუცხადოს მართალ და გულწრფელ პოლიტიკოსებს. ვნახოთ, თუ ასეთი უმრავლესობა იქნება „ნაციონალურ მოძრაობაში“, მაშინ - კი.

> *„არავის ვპირდებოდით სადმე შევარდნა-გამოვარდნას, რადგან სწორედ ამგვარი უპასუხისმგებლო განცხადებები აზიანებს პროცესებს. ჩვენ გვესმოდა, რომ სხვა ტაქტიკით უნდა გვემოქმედა ამ დროს, თუმცა, პარტიაში აღმოჩნდნენ ადამიანები, ვინც ამ თემით ისპეკულირა, რათა პარტიაში ძალაუფლება და გავლენა მოეპოვებინათ. ხაბეიშვილი ამ ნაწილში მეორეხარისხოვანი ფიგურაა, მას კარნახობენ, როგორ მოიქცეს*

ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებების კრებული – ქართულ ენაზე

„საქპატენტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულის პრეზენტაცია გაიმართა.

კრებული ქართულ ენაზე საქართველო-ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ პროექტის (EUGIPP) ფარგლებში გამოიცა. ნაშრომი შედგენილია ევროკავშირის საერთო სასამართლოს (GCEU), ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა (CJEU) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სააპელაციო სბჭოს (BOA) გადაწყვეტილებების საფუძველზე.

„კრებულის გამოცემას წინ უძღოდა სამუშაო შეხვედრები ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ევროპული სასამართლოების გადაწყვეტილებების შესახებ. EUGIPP პროექტის ფარგლებში გამართულ ამ ღონისძიებებზე ქართველი და ევროპელი მოსამართლეები განიხილავდნენ ევროპაში ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით გახმაურებულ საქმეებს. ევროპელი კოლეგების პრაქტიკა და გამოცდილება გაიზიარეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს, თბილისის სააპელაციო და საქალაქო, ასევე ქუთაისის სასამართლოს მოსამართლეებმა.

3 მაისს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გამართულ ღონისძიებაზე „საქპატენტის“ თავმჯდომარე სოსო გიორგაძემ სკოლის ხელმძღვანელობასა და მოსამართლეებს საჩუქრად კრებულის 50 ეგზემპლარი გადასცა.

ღონისძიებას, „საქპატენტის“ თავმჯდომარესთან ერთად, ესწრებოდნენ EUIPO-ს ინსტიტუციური და თანამშრომლობის სამსახურის დირექტორი სანდრის ლაგანოვსკისი, EUIPO-ს საერთაშორისო თანამშრომლობის სამსახურის უფროსი იგნასიო დე მედრანო, EUGIPP პროექტის ხელმძღვანელი მარტინ მარიანოვი, ასევე „საქპატენტისა“ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლები და საერთო სასამართლოს მოსამართლეები.

EUGIPP არის ევროკავშირისა და საქართველოს პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, რომელიც 2020 წლიდან მიმდინარეობს. პროექტს ერთობლივად ახორციელებენ EUIPO და „საქპატენტი“. მისი მიზანია საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის მხარდაჭერა, საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობისა და პრაქტიკის დაახლოება. პროექტი მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

რეგიონული სამეცნიერო ცენტრის შინაარსიანი საქმიანობა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე წარსდგა მოხსენებით: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის 2014-2019 წლების სამეცნიერო-კვლევითი და საორგანიზაციო საქმიანობის ძირითადი შედეგები და პერსპექტივები“. მოხსენებამ მოწონება, ხოლო ბატონ ვანოს მიერ გაწეულმა საქმიანობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. „აჭარა“ მას თბილისიდან დაბრუნების შემდეგ შეხვდა და რეგიონული სამეცნიერო ცენტრის საქმიანობის შესახებ ესაუბრა

- საზოგადოებას ერთხელ კიდევ შევახსენე, რომ მძიმე და აუტანელი მემკვიდრეობა დაგვიტოვა ისლამური თურქეთის სამასწლიანმა ბატონობამ. ბარბაროსებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს თვითმყოფად ქართულ კულტურას, ყოველგვარ პროგრესს, განათლებას, მეცნიერებას, მწერლობას, ერთი სიტყვით, აჭარის ინტელექტუალური აზროვნების ყოველგვარ პოტენციურ გამოვლენას.

- ამ რთულ გზაზე როგორი იყო მეცნიერებათა აკადემიის როლი?

- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია განსაკუთრებული ინტერესით და ყურადღებით ეკიდებოდა საქართველოს ძირძველი მხარის - აჭარის მატერიალურ და ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მადლიერების გრძნობით მოვიხსენიე მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტები: ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, ალბერტ თავხელიძე, თამაზ გამყრელიძე იმ ყურადღებისა და მხარდაჭერისათვის, რომელსაც იჩენდნენ ისინი აჭარაში მეცნიერების განვითარებისათვის. აჭარის სამეცნიერო ინტელიგენცია, ამ კუთხის მოსახლეობა არასოდეს ივიწყებს მათ სახელებს, სათუთად გადასცემს მომავალ თაობებს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ინიციატივით, 1995 წლის 23 თებერვალს ჩატარებულმა პრეზიდიუმის სხდომამ გაითვალისწინა, რომ რესპუბლიკის სწორი, ჰარმონიული ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის, მისი ბუნებრივი და მატერიალური რესურსების სრულად და ეფექტურად ათვისებისთვის, რესპუბლიკაში განათლების, მეცნიერების და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის აუცილებელია ქვეყნის რეგიონების ინტელექტუალური პოტენციალის სრულად გამოყენება ადგილზევე, სამეცნიერო კადრების საქმიანობის და სამეცნიერო კვლევების გააქტიურებით. ამის გათვალისწინებით, აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი დაფუძნდა.

- რა როლი შეასრულა ამ სამეცნიერო ცენტრმა?

- დებულებიდან გამომდინარე, ცენტრის ბაზაზე სისტემატურად ტარდებოდა შეხვედრები, გასვლითი სხდომები, სადაც განიხილებოდა რეგიონისათვის მნიშვნელოვანი პრობლემები. შარშან ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო აჭარის რეგიონული ცენტრის შინაარსიანი მიზნით. მოეწყო შეხვედრები ქართველ და აფხაზ ღვაწლმოსილ პედაგოგებთან. ცნობილი ქართველი მეცნიერები შეხვდნენ აფხაზი მოსახლეობით ყველაზე კომპაქტურად დასახლებულ, სოფელ ფერიის სკოლის პედაგოგებს. წავიკითხეთ მოხსენებები ქართველთა და აფხაზთა ისტორიული წარსულის შესახებ. შეხვედრა გაიმართა ქართველ და აფხაზ ღვაწლმოსილ ექიმებთან. შევთანხმდით, რომ აფხაზეთიდან ყველა ჩამოსულ სტუმარს, საჭიროების შემთხვევაში, გაეწიოს უფასო მკურნალობა; ორგანიზება გაუკეთდა ქართველი და აფხაზი მოსახლეობის საერთო ნათლობას... ქართველთა და აფხაზთა პირველი ფორუმი, რომელიც ჩატარდა 2011 წელს, აჭარაში რეგიონული სამეცნიერო ცენტრისა და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი ძალისხმევით, გაეროს შესაბამისმა კომისიამ შეაფასა როგორც ქართველ და აფხაზ ხალხს შორის შერიგებისა და საუკუნოვანი ურთიერთობის აღდგენის საქმეში თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოზიტიური მოვლენა.

- გარდა ამისა, რა საკითხები წამოსწიეთ წინა პლანზე ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობებიდან?

- აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და აჭარის რეგიონულმა სამეცნიერო ცენტრმა ჩაატარეს ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პრობლემები და აგრარული სექტორის აღორძინების გზები“, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აგრარულ მეცნიერებათა განყოფილების ათი წლისთავს. - კონფერენციაზე აღვნიშნე, რომ ბიზნესისა და ტურიზმის საერთაშორისო ცენტრის პროექტში - „შავი ზღვის მარგალიტი“ მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რომელიც გაეგზავნა ქვეყნის ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს. ამავე პროექტის ფარგლებში, გურიის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა აუთვისებელი მიწის მასივების ინვენტარიზაცია და მომზადდა მათი გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები; რეგიონულმა ცენტრმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში მყოფი აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერული პოტენციალის გამოყენების ხელშემწყობი სამუშაოები განახორციელა.

- კიდევ რა მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრეთ?

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის დარგობრივი კომისიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ეროვნულ კოორდინატორთა სამეცნიერო ჯგუფმა მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის აღორძინების მიმართულებით, მათ შეიმუშავეს აჭარა-გურიის რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინების გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც, პირველ რიგში, ითვალისწინებს აღნიშნული რეგიონების მოსახლეობის ვაზის უნიკალური ჯიშების სტანდარტული ნერგებით უზრუნველყოფას. კოორდინატორთა ჯგუფის სამუშაო პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბათუმში ყოველწლიურად ჩატარებულმა ოჯახური ტექნოლოგიებით დამზადებული ღვინის ფესტივალებმა. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ყველა რეგიონის მევენახე მეღვინეები. ფესტივალზე დაწესებული იყო ათობით ნომინაცია.

- რა გაკეთდა ღირსეული მამულიშვილების სახელთა უკვდავსაყოფად?

- რეგიონული ცენტრი იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელის უკვდავსაყოფი წიგნის - „მამულისთვის თავდადებული“ - მომზადებისა და გამოცემის, ქ. ბათუმის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭებისა და გმირის ბიუსტის დადგმის ერთ-ერთი ინიციატორი და მოთავე, გამოიცა რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ჟურნალი.

- ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებიც მეცნიერულ მიდგომას ითხოვს. საიმისოდ რა კეთდება?

- მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ძირითადი ბუნებრივი, ეკონომიკური და დარგობრივი სტრუქტურის ფაქტორების, აგრეთვე, არსებული საწარმოო საშუალებების ობიექტური შეფასების საფუძველზე, მეცნიერულად იქნა შესწავლილი და შემუშავებული აჭარის აგროსექტორში ჩამოყალიბებული კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო წარმოების იდენტიფიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების რეკომენდაციები აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენელ სხვა დარგებთან საწარმოო-ეკონომიკური კავშირების გათვალისწინებით, ასევე კოოპერატივებსა და სამრეწველო საწარმოებთან ინტეგრირების ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების გაფართოებას; შემუშავდა საკურორტო ქსელის, განსაკუთრებით, სოფლად საოჯახო ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, სოფლის მეურნეობისათვის წარმოების საშუალებათა მიწოდების, აგრეთვე, არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების, სოფლად მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების რეკომენდაციები და წინადადებები, რომელიც წარმოადგენს სოფლად უმუშევრობისა და სიღატაკის დაძლევის, შიდა და გარე მიგრაციის პროცესის შეჩერების, შედეგად, სოფლის მოსახლეობის ზრდისა და დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესების საფუძველს. რეგიონული ცენტრის დარგობრივი კომისიის წევრები ჩართულნი იყვნენ აჭარის სახელისუფლო სტრუქტურების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტებისა და პროგრამების რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აჭარაში მეფუტკრეობის თანამედროვე მიღწევების დანერგვის, ალპური მესაქონლეობის განვითარებისა და კვალიფიციური ვეტერინარული მომსახურების საკითხები. ცენტრი ასრულებდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის პროექტს - „მაღალი კონსერვაციული და განსაკუთრებული დაცვითი ღირებულებების მქონე ტყეების გამოვლენა, მათი საზღვრების დაზუსტება და რუკაზე გადატანა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“. მის ფარგლებში რეგიონულმა ცენტრმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეასრულა შემდეგი სამუშაოები: ნიადაგის ეროზიის, მეწყერებისა და ზვავების საფრთხის შემარბილებელი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ტყეების გამოყოფა, მათი საზღვრების დაზუსტება და რუკაზე გადატანა; განსაკუთრებული დაცვითი (ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, წყალდაცვითი) ფუნქციების ტყეების საზღვრების დაზუსტება და რუკაზე გადატანა. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების სფეროში კოორდინაცია გაეწია მეცნიერული კვლევების განხორციელებას. შემუშავდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების და ღონისძიებების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, ემიგრანტული და სოციალური მიმართულების კვლევების განხორციელებას; გამოკვლეულ იქნა „ქართული ემიგრანტული მწერლობა“, „ქართველ მუსლიმანთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში“, გამოსაცემად მომზადდა „ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“ (აჭარა) და ა.შ. განხორციელებული მეცნიერული კვლევების საფუძველზე მომზადდა პუბლიკაციები. საზღვარგარეთის ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში შემუშავდა პროექტები და პროგრამები ინგლისური ლიტერატურის, ამერიკული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის, მხატვრული თარგმანის, ბიბლიისა და ლიტერატურის, დასავლეთ ევროპული ლიტერატურის კრიტიკის, ლინგვისტიკის მიმართულებით; რეგიონული სამეცნიერო ცენტრის დარგობრივმა კომისიებმა თავიანთი მუშაობის შედეგები მოხსენებებითა და პუბლიკაციებით წარადგინეს ქვეყნის შიდა და საერთაშორისო დონის კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და სხვა სახის ფორუმებზე.

- რაც რეგიონულ ცენტრს ხელმძღვანელობთ, მუშაობა ძირითადად, რა მიმართულებით მიდის?

- რეგიონული სამეცნიერო ცენტრის წევრთა მონაწილეობით მომზადდა და განხორციელდა 100-მდე პროექტი, 80-მდე რეკომენდაცია და წინადადება. ვმონაწილეობდით ქვეყნის მასშტაბისა და საერთაშორისო დონის 60-მდე ღონისძიებაში. მომზადდა რეკომენდაციები, შენიშვნები და წინადადებები ცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების 20-მდე პროექტზე. სტატიების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, წიგნებისა და სხვა სახით გამოიცა 90-ზე მეტი პუბლიკაცია. ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის გაფართოებული სხდომისა და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარებას ბათუმში 2017 წლის 5-7 ოქტომბერს. გამოქვეყნდა სხდომის მასალების კრებული. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საინჟინრო მეცნიერებების და ენერგეტიკის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და დანერგვის სამუშაოების შედეგები, რომელიც აისახა გამოცემულ წიგნებში, მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებსა და სტატიებში. პრაქტიკული მიღწევები წარვადგინეთ საერთაშორისო კონფერენციებზე იტალიაში, ესპანეთში, ყაზახეთში, ბელორუსსა და სხვა ქვეყნებში. ცენტრის შეფასებასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას იძლევა გეოგრაფიის, გეოლოგიისა და ექსტრემალური ეკოლოგიური სიტუაციების მიმართულებით მეცნიერული კვლევები. შემუშავებული ღონისძიებების და რეკომენდაციების განხორციელების ობიექტებად განსაზღვრული იყო რეგიონის ჰიდრორესურსების ათვისების უზრუნველმყოფი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ტურისტული ინდუსტრიის ობიექტების ქსელის გაფართოება, ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, სამეწარმეო საქმიანობისათვის მიწისა და ტყის რესურსების კვლავწარმოება და გამოყენება, მეწყერული მოვლენების თავიდან აცილება, ნაპირგამაგრება, ინერტული მასალების მოპოვება, ავტომაგისტრალების მშენებლობა. მედიცინის დარგში მუშაობის პროგრამა მოიცავდა სხვადასხვა სახის ღონისძიების, პროგრამების,

იხ. მე-7 გვ.

„დემოგრაფიული და ეროვნებათაშორისი პრობლემების მიმართულებით ვმონაწილეობდით სხვადასხვა პროგრამის განხორციელებაში. შეიძლება ითქვას, შეიქმნა არქეოლოგთა სკოლა, საექსპედიციო სამუშაოებში მსოფლიოს მრავალი მეცნიერი ჩაერთო. ფიჭვნარში 13 წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველო-დიდი ბრიტანეთის, კერძოდ, ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმების ერთიანი ექსპედიცია პროფესორ მაიკლ ვიკერსის ხელმძღვანელობით. გათხრილ სამარხთა რიცხვმა 1300-ს მიაღწია

რა უნდა ვიცოდეთ ეპილაციის შესახებ?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ლაზერული ეპილაცია ჭარბთმიანობასთან ბრძოლის უმტკივნეულო, უსაფრთხო და სწრაფი მეთოდია, რომელზეც განსაკუთრებული მოთხოვნაა, თუმცა, ვიდრე ამ პროცედურას ჩავიტარებთ, აუცილებელია ვიცოდეთ, რა ტიპის ლაზერული აპარატები არსებობს, რომელია უფრო ეფექტური და რა შემთხვევაში ან როდის არ არის რეკომენდებული ეპილაცია

ზედმეტი, არასასურველი თმის საბოლოოდ მოცილება წარმოუდგენელია აპარატული კოსმეტოლოგიის მეთოდების გარეშე. ამ მეთოდებითა და ენერგიის სხვადასხვა წყაროს გამოყენებით, თმის ფოლიკულების განადგურება ხდება, რაზეც ექიმი-კოსმეტოლოგი, ლაზეროთერაპევტი **ინა მიქელაძე** *გვესაუბრება.*

- ქალბატონო ინა, ლაზერული ეპილაციის რომელი აპარატები არსებობს და რა განსხვავებაა მათ შორის?

- ესენია: ალექსანდრიტი, დიოდი, ნეოდიუმი, ასევე ფოტოეპილაცია და სხვა. თითოეულ ლაზერულ სხივს ტალღის სხვადასხვა სიგრძე აქვს და ამაშია სხვაობაც. ალექსანდრიტის სხივის ტალღის სიგრძე 755 ნანომეტრია, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი ზედაპირულია. დიოდური ლაზერის - 810-818, ხოლო ნეოდიუმის 1064 ნანომეტრია. ყველა ლაზერი ეფექტურია, მთავარია, ლაზეროთერაპევტმა კანის ტიპის და თმის პიგმენტის შეფერილობის მიხედვით, საჭირო ლაზერი ურჩიოს პაციენტს. თუ ადამიანს აქვს ღია ფერის კანი და მუქი თმა, ამ შემთხვევაში ალექსანდრიტის ლაზერი ძალიან ეფექტურია, არ დაწვავს კანს და შედეგიც მაქსიმალური იქნება. ზოგადად, 6 ტიპის კანი არსებობს. დიოდის ლაზერი თითქმის ყველა ტიპის კანზე გამოიყენება. ნეოდიუმის ლაზერს კი ყველაზე დიდი ეფექტი მუქ კანზე აქვს, რადგან სხივი არის საკმაოდ ღრმა, კანის ზედაპირს ვეღარ ხედავს და ძალიან მუქ კანზეც არ გამოიწვევს დამწვრობას. ნეოდიუმისა და დიოდის ლაზერები ასევე ეფექტურია ქერა თმაზე, რომელსაც ალექსანდრიტის ლაზერი ვერ კითხულობს. ამ შემთხვევაში ალექსანდრიტის ლაზერს ძალიან მცირე არჩევანი აქვს - თუ ადამიანს ქერა თმა აქვს, ვერ აღიქვამს, მუქი კანის შემთხვევაში კი დაწვავს.

- არის თუ არა ეპილაცია უმტკივნეულო?

- ადრე დიოდური ეპილაცია საკმაოდ მტკივნეული იყო, ახალი მეთოდით კი მივედით იმ შედეგამდე, რომ ეპილაცია დღეს საერთოდ უმტკივნეულოა. აპარატები არის მოყინვის სისტემით, გაყინულია თავაკი, რომელიც კანს ეხება და მხოლოდ წიწკნის შეგრძნებას ტოვებს. ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციას ადრე ფრეონის საშუალებით აკეთებდნენ. იყო სპეციალური ხსნარები, რომლებიც კანს ყინავდა და დამწვრობისგან იცავდა, თუმცა ორგანიზმისთვის ფრეონი სასარგებლო არ არის და დღეს ესეც გაუმჯობესებულია.

- შეიძლება თუ არა ეპილაცია გარუჯულ კანზე ან გარუჯვამდე?

- ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციის შემთხვევაში, გარუჯვა მინიმუმ 15 დღის შემდეგ არის შესაძლებელი. აუცილებელია კანზე მზისგან დამცავი საშუალებების წასმაც. გარუჯვიდანაც, ინდივიდუალურად, მინიმუმ 15 დღეში უნდა გაკეთდეს ეპილაცია. თუ რუჯი ძლიერი და ძალიან მუქია, კანს შეიძლება 1 თვე ან მეტიც დასჭირდეს დასვენება. დიოდს და ნეოდიუმს შეზღუდვა არ აქვს. გარუჯვიდან მე-3 დღეს უკვე შესაძლებელია ეპილაცია, ასევე, ლაზერიდან მე-3 დღესაა შესაძლებელი გარუჯვა.

- შეიძლება თუ არა ავტორუჯის მიღება ლაზერული ეპილაციის შემდეგ?

- მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ. ავტორუჯი მაინც ქიმიური კრემია და ეპილაციის შემდეგ კანმა უნდა დაისვენოს.

- აუცილებელია თუ არა, ეპილაცია ლაზეროთერაპევტმა ჩაატაროს?

- რა თქმა უნდა, აუცილებელია. უნდა იცოდე კანის ტიპები, უნდა იყო გარკვეული პაციენტის მდგომარეობაში - აქვს თუ არა დიაბეტი, ყურადღება უნდა მიექცეს გამონაყარს კანზე, სწორად უნდა განისაზღვროს ლაზერული სხივის სიძლიერე, ტემპერატურა, რომ არ გამოიწვიოს კანის დამწვრობა და ასე შემდეგ. ბევრი ნიუანსია, რასაც ცოდნა სჭირდება, თუმცა, არსებობს ლაზერის მინიაპარატები, რომლებიც შედარებით უსაფრთხოა და მომხმარებელი თავისით იკეთებს სახლის პირობებში.

- როგორია პროცედურების ხანგრძლივობა?

- ინდივიდუალურია სხეულის ზონის მიხედვით. ტუჩს შეიძლება ერთი წუთი დასჭირდეს, ფეხს - ნახევარი საათი ან მეტი. გააჩნია პაციენტსაც, კიდურების სიდიდეს, გამხდარია თუ ჭარბწონიანი.

- სხეულის რომელ ნაწილზე კეთდება ეპილაცია?

- ყველგან, სადაც თმის საფარველია - ხელ-ფეხი, მუცელი, წელი, ბიკინის ზონა, იღლია, კეფა, კისერი, სახე...

- მამაკაცები რამდენად ინტერესდებიან ეპილაციით?

- უკვე დიდია დაინტერესება. იკეთებენ, ძირითადად, კეფის, კისრის, ღაწვის ზონებს და იღლიასაც. არიან ისეთებიც, ვინც თმას ზურგზე, მუცელზე, გულმკერდზეც იცილებს. ფეხბურთელები ფეხებზე და ხელებზეც იცილებენ. ყოფილა შემთხვევა, ღრმა ბიკინიც მოუთხოვია მამაკაცს, მაგრამ უარი გვითქვამს, რადგან არ გვყავს ამ მხრივ სპეციალისტი. ჩემი აზრით, მამაკაცების ეპილაციით დაინტერესება ნორმალურია. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

- რატომ უნდა ჩატარდეს ნებისმიერი ტიპის ლაზერული ეპილაცია გაპარსულ კანზე?

- დიოდის და ნეოდიუმის შემთხვევაში, აუცილებელია თმის გაპარსვა ან კრემით მოშორება, რადგან სხივი მხოლოდ თმის კანქვეშა ფესვს ხედავს. კანს ზემოთ გაზრდილი თმის მოსაშორებლად ლაზერი ენერგიას ტყუილად დახარჯავს და სხივის ძალა, ფაქტობრივად, დაიკარგება, ამიტომ ეპილაციას გაპარსულზე უკეთესი ეფექტი აქვს. ეპილაციის შემდეგ 2-3 დღეში თმა კანის ზედაპირზე ამოდის, 10 დღის შემდეგ კი იწყება ცვენა.

- არსებობს თუ არა ლაზერული ეპილაციის ტექნოლოგია, რომელიც არ საჭიროებს გაპარსვას და რომლის შემდეგაც თმა მომენტალურად ცვივა?

- მომენტალურად თმა არასოდეს ცვივა, ალექსანდრიტის ლაზერი კანის ზედაპირს ხედავს და თმის ფოლეკულასაც, ამიტომ გაპარსვა აუცილებელი არ არის, თუმცა თმა გრძელი არ უნდა იყოს - არაუმეტეს 1-2 მილიმეტრისა. ამ შემთხვევაში ეპილაციის შემდეგ რჩება შავი წერტილები, სხივი გარედან წვავს თმას, რომელიც ზრდას არ აგრძელებს, ფესვები რჩება კანქვეშ, რომლებიც დროთა განმავლობაში ამოცვივდება.

- რა ინტერვალია საჭირო ლაზერული ეპილაციის პროცედურებს შორის?

- თავდაპირველად, სასურველია, 2-3 პროცედურა ჩატარდეს თვეში ერთხელ, შემდეგი კი თვენახევარში ან 2 თვეში. პირველივე ინტერვალიდან შედეგი თვალსაჩინოა. ხშირად მისვამენ შეკითხვას, რამდენ პროცედურაზე ქრება თმა. ძალიან რთულია პასუხის გაცემა. გააჩნია, როგორი ტიპის თმა და კანი აქვს პაციენტს, რომელ ზონაში უნდა თმის გაქრობა... მაგალითად, ფეხზე, იღლიასა და ღრმა ბიკინზე თმა ძალიან მალე ქრება. ხელზე, მუცელსა და წელზე - შედარებით რთულად, სახეზე კი ყველაზე ძნელად ქრება. ასევე მნიშვნელოვანია, აქვს თუ არა პაციენტს გენეტიკური ჭარბთმიანობა ან ჰორმონალური დარღვევები... თუ პაციენტმა ინტერვალი არ დაიცვა, თმა არ გაქრება.

- რა შეიძლება იყოს ჭარბთმიანობის მიზეზი?

- ძირითადად - გენეტიკა. საქართველოში ბევრს აქვს ამ მხრივ პრობლემა. არის ჰორმონალური დარღვევაც, ბევრი თავად იმრავლებს თმას - ელექტროეპილატორით ან პინცეტით იღებს. ამ შემთხვევაში ღინღლოვან თმას ძალით იუხეშებენ და რაოდენობასაც იორმაგებენ.

- კანის და თმის ტიპების გათვალისწინებით, ლაზერული ეპილაციის რომელი ტექნოლოგიაა ყველაზე ეფექტური?

- ყველა ლაზერული ეპილაცია ეფექტურია, თუ სწორად შევარჩევთ კანისა და თმის ტიპებს.

- შეიძლება თუ არა ცვილით დეპილაცია ლაზერული ეპილაციის კურსის განმავლობაში?

- დიოდური, ალექსანდრიტისა და ნეოდიუმის ლაზერით გაკეთებული ეპილაციისას - არა, შეიძლება მხოლოდ ფოტოეპილაციის კურსებს შორის. ცნობისთვის: ფოტოეპილაცია თავისი მოქმედებით ძალიან წაგავს ლაზერულ ეპილაციას და არსებითად განსხვავდება მისგან იმით, რომ თმის ღერებზე ერთდროულად მოქმედებს სხვადასხვა სიგრძის ტალღა და შესაძლებელია ნებისმიერი ფერის თმაზე და ყველა ტიპის კანზე ზემოქმედება. ფოტოეპილაცია მაღალეფექტურად მოქმედებს თმის ფოლიკულაზე, ხოლო ტალღის სიგრძის ცვლილების (რეგულირების) შესაძლებლობა (600-დან 1200 ნმ), საშუალებას იძლევა თმის ფოლიკულა განადგურდეს ნებისმიერ სიღრმეზე. ფოტოეპილაციის პროცედურა გამოირჩევა ნაკლები სიმძლავრით, რის გამოც, შესაძლებელია ღინღლის განადგურებაც, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება უფრო უხეში თმის გაზრდაც კი გამოიწვიოს.

- რას უნდა მოერიდონ ლაზერული ეპილაციის შემდეგ?

- პროცედურის შემდეგ 2 საათის განმავლობაში არ შეიძლება კანის დასველება. პაციენტი არ უნდა გავიდეს რუჯის მისაღებად, უნდა მოერიდოს სოლარიუმსაც.

- შეიძლება თუ არა ტატუს არსებობის შემთხვევაში ლაზერული ეპილაციის გაკეთება?

- სვირინგიან ადგილს ყოველთვის ვიცავთ ლაზერული სხივისგან. ტატუ არის პიგმენტი, რომელსაც ლაზერული სხივი კარგად ხედავს. რაც უფრო მეტია პიგმენტი, შედეგიც უფრო სწრაფია. ამიტომ ტატუზე ლაზერის დანათება მის გაფერმკრთალებას ან, სულაც, მოშორებას გამოიწვევს. რა თქმა უნდა, ერთი პროცედურით სრულად ვერ გააქრობს ნახატს, თუმცა, ალაგ-ალაგ გაფუჭებს. თუ პიგმენტი შეიცავს ტყვიას, ამ შემთხვევაში, დამწვრობასაც გამოიწვევს.

- შეიძლება თუ არა ბოტოქსის ან ფილერის შემთხვევაში ლაზერული ეპილაციის გაკეთება?

- შესაძლებელია, თუმცა სასურველია, პროცედურა იგივე დღეს არ გაკეთდეს.

- არის თუ არა ლაზერული ეპილაცია ალერგიული?

- ძალიან იშვიათად, თუმცა არის. ვისაც ალერგიული ფონი აქვს, უფასოდ ვუკეთებთ ტესტის სახით 2-3 იმპულსს. თუ არ მისცემს ალერგიას, მეორე დღეს ჩვეულებრივად აგრძელებს პროცედურას. უფრო მეტად ალერგიული ფონი მატულობს დიაბეტიან პაციენტებში, კერძოდ, ინსულინის მომხმარებლებში. ამ დროს შესაძლებელია კანი დაიწვას. ასეთ შემთხვევაშიც ვაკეთებთ ტესტს და შედეგის მიხედვით ვმოქმედებთ. ზოგჯერ, ნახევრად გაპარსულები მოდიან. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ერთჯერადი საპარსებით ვაშორებთ თმას. როცა პარსვა მშრალად ხდება, კანი ღიზიანდება, ეს ყოველივე კი ლაზერს ბრალდება, თუმცა ვუხსნით, რომ ასე არ არის.

- შესაძლებელია თუ არა ლაზერული ეპილაციის პირველი პროცედურით მოხდეს უფრო მეტი თმის პროვოცირება?

- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თმის ღერი უპიგმენტოა და ლაზერი მას ვერ ხედავს. ეს ხდება ჭაღარა ან ქერა თმის შემთხვევაში, თუმცა როცა ვხედავთ, რომ თმა უპიგმენტოა, ეპილაციას არ ვაკეთებთ.

- შესაძლებელია თუ არა ეპილაცია ჰორმონალური დარღვევის და სიმსივნური დაავადების დროს?

- სიმსივნური დაავადების დროს არ შეიძლება - ვერიდებით ყველანაირ გამოსხივებას, ჰორმონალური დარღვევის დროს კი ჩვეულებრივად ვატარებთ პროცედურას, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, თმის სრული გაქრობის შანსიც ნაკლებია.

- ლაზერული ეპილაციით ღინღლოვანი თმის მოცილება თუ შეიძლება?

- რა თქმა უნდა, მთავარია, თმის ღერში პიგმენტი იყოს.

- ეფექტურია თუ არა ლაზერული ეპილაციის ჩატარება ჭაღარა და თეთრ თმაზე?

- არანაირი ეფექტი არ აქვს, რადგან ჭაღარა თმა პიგმენტს არ შეიცავს. თეთრი თმის არსებობის შემთხვევაში კეთდება ელექტროეპილაცია ნემსით. „ოქროს ნემსები“ არის ინდივიდუალური, ყველა პაციენტს საკუთარი აქვს. ნემსის წვერით, რომელიც ხურდება 12 გრადუსი ცელსიუსით, სათითაოდ შევდივართ თმის ფესვის ფოლიკულში. პედალზე დაჭერისას ნემსი ხურდება და თმის ფოლიკული იშლება. ამ მეთოდით ვმუშაობთ ყველა ტიპის თმაზე და არა მხოლოდ ჭაღარაზე. პროცესი პაციენტისთვის ოდნავ მტკივნეულია, ექიმისთვის კი შრომატევადი.

- შეიძლება თუ არა ორსულებისთვის ლაზერული ეპილაცია?

- ორსულები პირველი თვიდანაც და მე-9 თვეშიც იკეთებენ, თუმცა ყველას ვეუბნებით, რომ რეკომენდებულია ორსულობის მხოლოდ შუა ტრიმესტრში.

-კურიოზული შემთხვევები თუ გქონიათ?

- ხშირია, როცა ღრმა ბიკინის ეპილაციის დროს გოგონები გვეკითხებიან, ქალწულობას ხომ არ დაკარგავენ. ამ დროს გვიწევს ახსნა-განმარტება, რომ ეპილაცია ამ მხრივ სრულიად უსაფრთხოა. არის შემთხვევები, როცა მამაკაცები მოდიან თმის მოსაცილებლად და ცოლები პროცედურას ესწრებიან. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ არ გვანდობენ თავიანთ ქმრებს. არადა, არ არის რეკომენდებული, რომ მესამე პირი იყოს კაბინეტში, თუმცა ქალბატონებს გარეთ ვერ ვუშვებთ.

„ძალიან იშვიათად, თუმცა არის. ვისაც ალერგიული ფონი აქვს, უფასოდ ვუკეთებთ ტესტის სახით 2-3 იმპულსს. თუ არ მისცემს ალერგიას, მეორე დღეს ჩვეულებრივად აგრძელებს პროცედურას. უფრო მეტად ალერგიული ფონი მატულობს დიაბეტიან პაციენტებში, კერძოდ, ინსულინის მომხმარებლებში. ამ დროს შესაძლებელია კანი დაიწვას. ასეთ შემთხვევაშიც ვაკეთებთ ტესტს და შედეგის მიხედვით ვმოქმედებთ“

ქართველი ექიმები ევროპული ქვეყნების კოლეგებთან შედარებით 3-5-ჯერ ნაკლებად... პროდუქტიულები არიან (?!)

სს „გალტ ენდ თაგარტის“ ახალი კვლევის მიხედვით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ექიმების სიჭარბე და ექთნების დეფიციტია - ორგანიზაციის თითო ექიმზე მხოლოდ ერთი ექთანი მოდის, როდესაც ევროპის ქვეყნებში მათი რაოდენობა 2-დან 5-მდეა. ამის შედეგად ქართველი ექიმები 3-5-ჯერ ნაკლებად პროდუქტიულები არიან ევროპული ქვეყნების კოლეგებთან შედარებით, რაც ნიშნავს, რომ ისინი ნაკლებ პაციენტს ემსახურებიან.

„შესადარის ქვეყნებს შორის საქართველოში ექიმების რაოდენობა ერთ-ერთი ყველაზე მზარდია და 2021 წელს 1,000 მოსახლეზე 6,1-ს მიაღწია, რაც OECD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) საშუალოზე ორჯერ მეტია. ამასთანავე აღსანიშნავია ექთნების სიმცირე, რომელთა რაოდენობაც თითო ექიმზე ერთს უდრის, როცა ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 2-დან 5-მდე მერყეობს. აღნიშნული ტრენდი, სავარაუდოა, რომ გაგრძელდება განათლების სისტემაში სამედიცინო პროგრამებზე მზარდი, ხოლო საექთნო კურსებზე მცირე მოთხოვნიდან გამომდინარე“, - წერია მიმოხილვაში.

ამირან გურიელიძე

ვახტანგ ავალიანი – პირნათელი ერისა და ქვეყნის წინაშე

5 მაისს ასი წელი სრულდება აჭარაში ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ავალიანის დაბადებიდან. იგი 1923 წელს, ქედის რაიონის სოფელ დანდალოში, მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. მის მშობლებს - ქალბატონ აიშესა და ბატონ თევფიყს 8 შვილი ჰყავდათ, 3 ვაჟი და 5 ქალიშვილი, რომელთა შორის ვახტანგი მეოთხე იყო

თევფიყ ავალიანი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა, ხოლო მისი უფროსი შვილი ჯემალი შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს და მხოლოდ 1959 წელს ჯანმრთელობაშერყეული დაუბრუნდა ოჯახს.

ქალბატონ აიშეს ქმრის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ საზრუნავად დაურჩა 8 შვილი, რომელთაგან 4 მცირეწლოვანი იყო. მიუხედავად ამისა, შვილებს ის მოწყენილი არასოდეს უნახავთ, მათთვის არასოდეს უგრძნობინებია ის ტკივილი, რომელსაც მთელი სიცოცხლე გულით ატარებდა.

ქალბატონი აიშე დღესა და ღამეს ასწორებდა - ხნავდა, თესავდა, ფარცხავდა, ართავდა, ქსოვდა, კერავდა კაბებსა და შარვლებს და შვილებს რის ვაი-ვაგლახით არჩენდა. ამას ისიც დაემატა, რომ ბოროტმა ადამიანებმა, როგორც „სამშობლოს მოღალატის“ მეუღლეს, ერთ ღამეს ნალია და საბძელი გადაუწვეს, მაგრამ სულით ძლიერი, გაუტეხელი ქალბატონი მაინც ვერ დააჩოქეს, ვერ მოდრიკეს. მან შვილებს ჯერ საშუალო განათლება, შემდეგ კი ხუთ მათგანს უმაღლესი განათლებაც მიაღებინა და სოფელში ვაჟკაცური ქალის სახელი დაიმკვიდრა.

8 წლის ვახტანგი დედამ მშობლიური სოფლის დაწყებით სკოლაში შეიყვანა, რომლის დამთავრების შემდეგ, 1935 წელს, სწავლა განაგრძო დაბა ქედის საშუალო სკოლაში. ვახტანგმა იგი 1941 წელს დაამთავრა და მუშაობა ამავე რაიონის სოფელ გიორგიულის (ამჟამად - მოსიაშვილები) დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად დაიწყო, 1943 წელს კი ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

სამასწავლებლო ინსტიტუტი ბატონმა ვახტანგმა 1945 წელს დაამთავრა და მალევე ქედის რაიონის სოფელ გოგიაშვილების 8-წლიანი სკოლის დირექტორად და ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად დაინიშნა. აქ მუშაობის პერიოდში, 1948 წელს, იგი შევიდა და 1952 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტი. 1957 წელს გოგიაშვილების 8-წლიანი სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა, რომელსაც ვახტანგ ავალიანი 1963 წლამდე უძღვებოდა. ამავე წელს იგი ოჯახით საცხოვრებლად ბათუმის რაიონის სოფელ ქვედა სამებაში გადმოვიდა და მუშაობა დაიწყო ბათუმის ნ. ბარათაშვილის სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილედ ჯერ საწარმოო სწავლების, შემდეგ კი კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. მისი ხელმძღვანელობით სკოლაში სისტემატურად იმართებოდა საინტერესო სააღმზრდელო ღონისძიებები - შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, შრომის გმირებთან, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან.

ვახტანგ ავალიანი აღსაზრდელებისადმი დამოკიდებულებაში გამოირჩეოდა ზომიერებითა და პედაგოგიური ტაქტით, ამყღავნებდა მათდამი მამობრივ სიყვარულსა და პატივისცემას. მისი ხმამაღალი სიტყვა სკოლაში არავის სმენია. ამიტომაც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც მოსწავლეებსა და მათ მშობლებში, ისე კოლეგებსა და ნაცნობ-მეგობრებში.

თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ბატონმა ვახტანგმა არაერთხელ გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თბილისსა და ბათუმში. ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში იგი თვითონაც კითხულობდა ლექციებს კურსებზე მოწვეულ მასწავლებლებთან ისეთ თემებზე, როგორებიცაა: „სკოლა-ინტერნატის დღის რეჟიმი“, „საშინაო დავალების მომზადების ორგანიზაცია სკოლა-ინტერნატში“, „შრომითი უნარ-ჩვევების გამომუშავება მოსწავლეებში სკოლა-ინტერნატის პირობებში“, „მოსწავლეთა შრომითი აღზრდა და პროფესიული ორიენტაცია“, „სკოლა-ინტერნატში სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მასში სასკოლო ორგანიზაციების მონაწილეობა“ და სხვა.

ვახტანგ ავალიანი პედაგოგიურ მოღვაწეობას 1992 წლამდე ეწეოდა, შემდეგ კი პერსონალურ პენსიაზე გავიდა. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად იგი საზოგადოებრივ დავალებებსაც პირნათლად ასრულებდა. გოგიაშვილების სკოლის დირექტორად მუშაობის პერიოდში იყო დანდალოს სასოფლო საბჭოს უცვლელი დეპუტატი და 15 წლის განმავლობაში ასრულებდა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოვალეობას.

სანიმუშო ოჯახი შექმნეს ბატონმა ვახტანგმა და მისმა მეუღლე ეთერ მაჩაბელმა. მათ აღზარდეს 5 შვილი - 4 ქალიშვილი და ერთი ვაჟი. ხუთივეს უმაღლესი განათლება მიაღებინეს, მაგრამ ვახტანგის სიცოცხლეშივე მისი ვაჟი ვიტალი მოულოდნელად გარდაიცვალა და ბატონმა ვახტანგმა იმქვეყნად წაიღო შვილის ნაადრევი სიკვდილით გამოწვეული მოურჩენელი ტკივილი.

ვახტანგ ავალიანის დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე ღირსეულად დაფასდა - ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის 1965 წელს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა, ხოლო 1968 წელს საქართველოს სსრ მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების VI რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მიღწეული წარმატებისათვის გადაეცა მედალი, საქართველოს განათლების სამინისტროს სიგელი და მიენიჭა ლაურეატი მასწავლებლის წოდება. გარდა ამისა, დაჯილდოებული იყო „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით და მრავალი საპატიო სიგელით.

ვახტანგ ავალიანი გარდაიცვალა 2008 წლის 4 ივნისს, 85 წლის ასაკში. დაკრძალულია სოფელ ქვედა სამებაში.

ნოდარ ბასილაძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქედის საპატიო მოქალაქე

უკრაინა

დანია უკრაინას დახმარების უდიდეს პაკეტს უგზავნის, რომლის ღირებულება 1,7 მილიარდი დანიური კრონია, - ინფორმაციას უკრაინული მედია დანიის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს. უწყებაში აცხადებენ, რომ დახმარების პაკეტში შედის სატრანსპორტო საშუალებები, აღჭურვილობა, საჰაერო თავდაცვის საშუალებები და საბრძოლო მასალა, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინის შესაძლებლობების გაძლიერებას მოახლოებული კონტრშეტევისთვის. დანიის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ აღნიშნული ტექნიკა უკრაინამ მოითხოვა. დახმარების პაკეტი ასევე მოიცავს ჯავშანტექნიკის სარემონტო-საევაკუაციო და საინჟინრო შეჯავშნულ, გამნაღმველ მანქანებსა და შლანგებს, ნაღმტყორცნის ყუმბარებს, საბრძოლო მასალას Carl Gustaf-ის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნებისთვის, მობილურ საველე ხიდებს და ღამით ხედვის მოწყობილობებს. დახმარების პაკეტი ასევე მოიცავს 50 მილიონ ევროს არალეტალური აღჭურვილობით დახმარებისთვის.

* * *

მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი 13 მაისს გერმანიაში აპირებს ჩასვლას. ზელენსკი ბერლინში გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცსა და ქვეყნის პრეზიდენტ კარლ-ვალტერ შტაინმაერს შეხვდება. 14 მაისს ის გერმანიის ქალაქ აახენში ჩავა, სადაც „კარლ დიდის პრემიას“ გადასცემენ. ზელენსკი 3 მაისს ჩავიდა ფინეთში, სადაც ის სკანდინავიის ქვეყნების ლიდერებთან ერთად განიხილავს ომის მიმდინარეობასა და უკრაინისადმი მათ დახმარებას. უკრაინაში ომის გამო ზელენსკი ნაკლებს მოგზაურობს. ის აშშ-ში იმყოფებოდა და ასევე ესტუმრა მეზობელ პოლონეთს. უკრაინის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ უკრაინა თვითმფრინავებს წარმატებული კონტრშეტევითი ოპერაციების შემდეგ მიიღებს. ამის შესახებ მან ჰელსინკიში ფინეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. „რატომ მჯერა, რომ ჩვენ გვეყოლება თვითმფრინავები? რადგან მალე ჩვენ წარმატებულ კონტრშეტევით ოპერაციას განვახორციელებთ, შემდეგ, დარწმუნებული ვარ, თვითმფრინავებს მოგვცემენ“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ბოლო 5 თვის განმავლობაში უკრაინაში რუსული ჯარის რიგებს შორის მსხვერპლი 100.000-სს შეადგენს. თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების სპიკერმა ჯონ კირბიმ ჟურნალისტებს უთხრა, რომ, ამერიკულ დაზვერვაზე დაყრდნობით, აქედან ბრძოლის ველზე 20.000 რუსი სამხედრო დაიღუპა. მოკლულებს შორის ნახევარი „ვაგნერის დაჯგუფების“ მებრძოლები არიან. დაზვერვის მონაცემები ბახმუტსა და უკრაინის სხვა რეგიონებში მიმდინარე ბრძოლებს მოიცავს. „რუსეთის მცდელობა, ზამთრის შეტევასთან დაკავშირებით, დონბასში, ძირითადად კი ბახმუტში, ჩაიშალა“, - თქვა კირბიმ.

* * *

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია განიხილავს ახალ, გრიგორიანულ კალენდარზე გადასვლას. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, შობა 7 იანვრის ნაცვლად 25 დეკემბერს აღინიშნება. როგორც ეკლესიის ხელმძღვანელმა, მიტროპოლოტმა ეპიფანემ უკრაინულ „gazeta.ua“-ს უთხრა, გადაწყვეტილება ამ თვეში იქნება მიღებული. „ამ რეფორმის სისრულეში მოყვანა, პირველ რიგში, მოგვცემს საშუალებას, გადავიდეთ უფრო ზუსტ კალენდარზე და მომავალში თავიდან ავირიდოთ უძრავი დღესასწაულების თანდათანობით გადაწევა. მართალია, ამ გზაზე რჩება რიგი სირთულეები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უფლის დახმარებით მათ მოვაგვარებთ“, - თქვა მან. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არაა, მიტროპოლიტი ამბობს, რომ ეკლესიამ უკვე დაიწყო მუშაობა მრევლისთვის ლიტერატურის ახალი რედაქციის შემუშავებაზე.

ახალი ზელანდიის მთავრობამ უკრაინისადმი მხარდაჭერის გაზრდის შესახებ გამოაცხადა და კიევისთვის 3,1 მილიონი დოლარი გამოყო. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა კრის ჰიპკინსმა განაცხადა. თანხები მიემართება უკრაინის მხარდამჭერ სხვადასხვა ინიციატივაზე, მათ შორისაა უკრაინის ჰუმანიტარული ფონდი, UNHCR და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურა და დაზარალებულთა ნდობის ფონდი. შეგახსენებთ, რომ ახალი ზელანდია უკრაინელი სამხედროების წვრთნების პროგარამაშიცაა ჩართული.

* * *

ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საბრძოლო მასალის წარმოების მხარდაჭერის შესახებ, რომელიც მიზნად ევროკავშირში წარმოების შესაძლებლობების გაზრდას და საბრძოლო მასალის, რაკეტებისა და მათი კომპონენტების დეფიციტის აღმოფხვრას ისახავს. ამის შესახებ ევროკომისიამ 3 მაისს განაცხადა, რომელიც ამ მიზნით 500 მილიონ ევროს გამოყოფს. ეს არის ევროკავშირის გეგმის მესამე ნაწილი, რათა უკრაინას სწრაფად მიაწოდოს საბრძოლო მასალა და რაკეტები, ასევე შეავსოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მარაგები. გეგმის პირველი ნაწილი მოიცავს ევროკავშირის ქვეყნების რეზერვებიდან უკვე ხელმისაწვდომი საბრძოლო მასალის დაუყოვნებლივ უკრაინისთვის მიწოდებას, ხოლო მეორე ნაწილი ერთობლივ შესყიდვებს უკრაინის შემდგომი მხარდაჭერისთვის და ევროპის ქვეყნების არმიების რეზერვების შესავსებად. ევროკომისიამ პირველი ორი ეტაპისთვის ერთი მილიარდი ევროს გამოყოფა გადაწყვიტა. „ევროპაში მაღალი ინტენსივობის კონფლიქტის განახლების ფონზე, ამ პროდუქტების საკმარისი რაოდენობით დროული ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია ჩვენი უსაფრთხოებისთვის და უკრაინის მხარდასაჭერად“, - ნათქვამია განცხადებაში.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

რეგიონული სამეცნიერო ცენტრის შინაარსიანი საქმიანობა

მე-5 გვერდიდან

პროექტებისა და რეკომენდაციების შემუშავება-განხორციელებას, მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებების და ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით. ისტორიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის და ხელოვნების დარგში გამოქვეყნდა მონოგრაფია „აფხაზები აჭარაში - წარსული და თანამედროვეობა, ქართული ტრადიციული საზოგადოების არქიტექტონიკის თეორიული პრობლემები“, ჩატარდა ექსპედიციები ტაოში, ბეშუმის ნამოსახლარში. გრძელდებოდა მუშაობა საგრანტო პროექტებზე „ტაო“ და „მარადიდი“. ქართული ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის სფეროში მომზადდა და დაისტამბა ორმოცდაათამდე სამეცნიერო შრომა. კვლევის მასალებში ასახულია ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, სალიტერატურო ენის, ქართული ლიტერატურის საკითხები. განხორციელდა პროექტები „ტაო - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ და „მარადიდი“, ბსუ-ის ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა ჯგუფს მონოგრაფიისათვის „კლარჯეთი“ მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის პრემია. დემოგრაფიული და ეროვნებათაშორისი პრობლემების მიმართულებით ვმონაწილეობდით სხვადასხვა პროგრამის განხორციელებაში. შეიძლება ითქვას, შეიქმნა არქეოლოგთა სკოლა, საექსპედიციო სამუშაოებში მსოფლიოს მრავალი მეცნიერი ჩაერთო. ფიჭვნარში 13 წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველო-დიდი ბრიტანეთის, კერძოდ, ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმების ერთიანი ექსპედიცია პროფესორ მაიკლ ვიკერსის ხელმძღვანელობით. გათხრილ სამარხთა რიცხვმა 1300-ს მიაღწია. შეიქმნა სათანადო პუბლიკაციები. შვიდი ტომი უკვე გამოქვეყნებულია. მომზადდა მერვე ტომიც. იგივე ითქმის ოქრომრავალი კოლხეთის და ლაზიკის ისეთ გამორჩეულ საქალაქო ცენტრებზე, როგორიცაა რომაული ხანის გონიო-აფსაროსი და ადრე შუა საუკუნეების პეტრა-ციხისძირი, აჭარის შიდა რაიონებისა და მთის ზონის სხვადასხვა ეპოქის ძეგლები. ბოლო წლებში მრავალმხრივ და საინტერესო მეცნიერულ კვლევებს ატარებენ ნიკო ბერძენიშვილის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარები. აღწერილი და დამუშავებულია სტამბოლის ქართული სავანის არქივი და ბიბლიოთეკა. გამოიცა დოკუმენტური მასალების ორი კრებული, დასრულდა ლექსიკური ერთეულების შედარება ქართული სალიტერატურო ენის დიალექტების ლექსიკონებთან. ანბანთრიგზე დალაგებული სალექსიკონო მასალა დაბეჭდილია 1200 გვერდზე. გრძელდება ლექსიკონის რედაქტირება, ჩასწორება-კორექტირება და გამოსაცემად მომზადება.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 3/05/23, 21 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

სალონურ საღამოს სტუმრობდა... სამუსიკო სკოლა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

რამდენიმე წელია, პოეტი ვახტანგ ღლონტი ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრისა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივ პროექტს - სალონური საღამო „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ ახორციელებს

აქ, ძირითადად, ამა თუ იმ სფეროში გამორჩეულ ადამიანებს ხვდებიან. პირველი შემთხვევა იყო, როცა საღამოზე ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის მთელ კოლექტივს უმასპინძლეს. ამიტომ შეხვედრა სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

საღამოს, ვახტანგ ღლონტთან ერთად, სამუსიკო სკოლის დირექტორი ნინო ჩაიძე წარუძღვა, რომელმაც სასწავლებლის ღირსეული შემოქმედებითი ისტორია იმ ადამიანებთან ერთად წარმოაჩინა, რომლებიც დღეს აქ მოღვაწეობენ.

ეს არის ერთ-ერთი ძირძველი და ტრადიციული სამუსიკო სკოლა, რომელიც 1899 წელს დაფუძნდა. 1928 წელს მის ბაზაზე შეიქმნა სამუსიკო სასწავლებელი, 1996 წელს მემედ აბაშიძის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტის - მუსიკის ფაკულტეტი, 2008 წლიდან კი სამუსიკო სკოლაა (თერთმეტწლედი), რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ნინო ჩაიძე. სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო, საგუნდო-სადირიჟორო, ვოკალური განყოფილებები. სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო კონკურსებში. სხვადასხვა წელს სკოლამ უმასპინძლა მრავალ მნიშვნელოვან ღონისძიებას, კონკურსებს, მასტერკლასებს. აქ არაერთხელ გაიმართა მაღალი დონის კლასიკური მუსიკის კონცერტი. სკოლა მუდმივად მონაწილეობს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა პროექტში, რომელიც ქვეყანაში მუსიკის პოპულარიზაციასა და ნიჭიერი, დამწყები მუსიკოსების პროფესიულ ზრდასა და განვითარებას ემსახურება. გასული საუკუნის 60-80-იან წლებში ეს სამუსიკო სასწავლებელი განსაკუთრებულად პოპულარული იყო, მეტიც, აქ სწავლა პრესტიჟული გახლდათ.

დაარსებიდან დღემდე სასწავლებელში აღიზარდა არაერთი ნიჭიერი თაობა, მუსიკოსები, რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და ღირსეულად წარმოაჩენენ ჩვენს ქვეყანას. სკოლამ საინტერესო ისტორიები შემოუნახა მომავალ თაობას. საღამოზე შეკრებილებს მნიშვნელოვანი მოვლენები და ხელოვანები შეახსენეს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ამ სასწავლებლის შემოქმედებითი ისტორიის შექმნაში.

- არიან ადამიანები, რომლებიც ვფიქრობთ, რომ უკვალოდ მიდიან, არაფერს გვიტოვებენ. მაგრამ ეს უფრო ჩვენი დაუკვირვებლობის შედეგია, რადგან ყველა ადამიანს მოაქვს რაღაც საინტერესო. ამ სასწავლებელში ბევრი ღირსეული ადამიანი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს. ზოგიერთი მათგანი „მაღალი კლასის პილოტია“. ისინი გვამოგზაურებენ ხელოვნების ფერად სამყაროში. ეს ბედნიერებაა, - თქვა ნინო ჩაიძემ, რომელმაც უდიდესი პატივისცემით მოიხსენია აქ მოღვაწე თითოეული ადამიანი, ვისაც უზომოდ უყვარდა თავისი საქმე და გულით ემსახურებოდა მას. მადლობა გადაუხადა ყველას თანადგომისთვის.

შეკრებილებმა პედაგოგებს ირინა ხერჟსა და ქეთევან მანელიშვილს საპატიო ბათუმელის წოდების მინიჭება მიულოცეს.

საღამოზე გულთბილად გაიხსენეს არაერთი ნოვატორი პედაგოგი, მოეფერნენ ყველას, ვინც დღეს მოღვაწეობს აქ და ყველაფერს აკეთებს სასწავლებლის წარმოსაჩენად. ასეთი პედაგოგი ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლას ბევრი ჰყავს. მათ არაერთი მუსიკოსი აღზარდეს, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ არა მარტო საქართველოში.

ბევრმა პედაგოგმა გაიხსენა აქ სწავლების და მუშაობის წლები, მათ შორის, ლია ხარებავამ, ედნარ ქიქავამ, ვენერა თოფურიამ, ნანი ჯანიკაშვილმა, ეთერ ნაკაშიძემ, ირინა ხერჟმა, ლალი ჭელიძემ, ნანი ფაჩუაშვილმა... გაიხსენეს ალექსი ფარცხალაძე, გურამ საღარაძე, ალექსი შიფრინი (იმ დღეს შეხვედრას მისი შვილი, გიორგი ესწრებოდა), ლევ გურევიჩი, დოდო ჯვარშეიშვილი, თამარ ლილიენბახი... საღამოები, რომელსაც აწყობდნენ სასწავლებელში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ბედნიერები და ამაყნი არიან ამ სასწავლებელში მოღვაწეობით.

თითოეული გამომსვლელის მოგონება იყო თბილი და საინტერესო, ზოგჯერ იუმორით აღსავსე. მხატვარმა ნინო ნიჟარაძემ ცნობილი პედაგოგი მარია შური, ასევე გურამ საღარაძე გაიხსენა. სხვათა შორის, ბატონ გურამზე იმ დღეს ძალიან ბევრმა ისაუბრა.

გულთბილად გაიხსენეს ფორტეპიანოს ამწყობი, ქალაქში ცნობილი პროფესიონალი, ესტონელი ერნესტ კიაო. პიანისტმა ნატალია ჭანტურიშვილმა, რომელიც ამჟამად თბილისში მოღვაწეობს, გამორჩეული სიყვარული გამოხატა ქალაქისადმი, სადაც დაიბადა: „დიდი ხანია თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ თბილისელი ვერ გავხდი - ბათუმელი ვარ, რადგან ეს ჩემი უსაყვარლესი ქალაქია“, - თქვა მან. აღსანიშნავია, რომ ნატალია ჭანტურიშვილის მამამ დიმიტრი ჭანტურიშვილმა აქ პირველი რუსული კათედრა გახსნა.

- გამიმართლა, რომ ამ კედლებში ვსწავლობდი, ჩვენ არა მხოლოდ მუსიკოსებად, არამედ პიროვნებებად ჩამოვყალიბდით. აქ პედაგოგებმა, გარდა მუსიკისა, ბევრი რამ გვასწავლეს. მინდა მოვიგონო საოცარი პროფესიონალი ერნესტ კიაო. მის გარეშე აქ მუსიკა არ აჟღერდებოდა. ის იყო რაფინირებული პიროვნება, ძალიან უყვარდა მუსიკა, შესაძლოა, ჩვენზე მეტადაც. ის აქ არ ასწავლიდა, მაგრამ ამ სკოლის განუყოფელი ნაწილი იყო, - აღნიშნა ალექსანდრე შიფრინის შვილმა გიორგიმ.

აქ სწავლების წლები გაიხსენა მამა იოანემ (სიჭინავამ), რომელმაც მუსიკალური ხელოვნების სამოციქულო მსახურებაზე გაამახვილა ყურადღება.

- როცა ცხოვრების სხვა გზაზე გადავედი, ის სიხარული, რომელსაც აქ განვიცდიდი, ეკლესიაში მრევლთან ურთიერთობით დავიბრუნე. თავიდან უცხო იყო ჩემთვის ეს ქალაქი. ბათუმს მხოლოდ კოლონადებით ვიცნობდი, ტელევიზორიდან... შორიდან ძნელია გაიგო, რა ხდება აქ. შესაძლოა, გარეთ წვიმს, თოვს, ქარია, მაგრამ ამ შენობაში ფაქიზი გრძნობების, ემოციების გრადაციებია, აქ პიროვნებად „იხარშები“... მიყვარს აქაურობა, ისევ ისე, როგორც 20 წლის წინ შევიყვარე, - თქვა მამა იოანემ.

სკოლის აღზრდილმა, მუსიკოსმა თამაზ ნიკოლაიშვილმა შეკრებილთ ფორტეპიანოზე შესანიშნავი მუსიკალური ნომერი შესთავაზა. საღამოზე ცნობილ კომპოზიტორთა ნაწარმოებებით წარსდგნენ მოსწავლეებიც.

სალონური საღამო იმაზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე ეს ხშირ შემთხვევაში ხდება. იყო სითბო, სიყვარული, მოფერება, ლამაზი დღეების მოგონება... ეს სამუსიკო სკოლა ხომ უამრავი ადამიანის საყვარელი ადგილია, ხოლო აქ გატარებული წლები - დაუვიწყარი.

გვეამაყებით და გილოცავთ!

წელს გაზეთ „აჭარის“ ორ წარმომადგენელს - მანანა ძიძიშვილსა და გურამ ტურაშვილს „საპატიო ბათუმელის“ წოდება მიენიჭათ